ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

14 მარტი 2025

N149055

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,ელკო დისტრიბუშენ"-ისთვის წერილობითი გაფრთხილების სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს ,,ელკო დისტრიბუშენ"-ის მიერ (ს/ნ - 205280667, მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 146) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 19 დეკემბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სუბიექტი ვალდებულია ელექტრონულად სრულად შეავსოს ამ წესის მე-13 მუხლის შესაბამისად, მის მიერ არჩეული ციფრული ფორმების შესაბამისი კომპონენტების, ასევე, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგების ფორმის, ყველა არანულოვანი მუხლი, ხოლო თუ სუბიექტი წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს, იგი ვალდებულია ასევე სრულად შეავსოს მის მიერ არჩეული კონსოლიდირებული ციფრული ფორმების შესაბამისი კომპონენტების ყველა არანულოვანი მუხლი კანონის მე-3 მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებით სუბიექტისთვის დადგენილი/არჩეული სტანდარტისა და ამ წესის მე-15 მუხლის შესაბამისად ატვირთული ფინანსური/კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ანგარიშგების სამუშაო დოკუმენტაციის თანახმად", კერძოდ სუბიექტის მიერ, ციფრული ფორმების ჩანართში შევსებული საქმიანობის შედეგებისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება არ არის ატვირთული დოკუმენტის შესაბამისი.

ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს დარღვევის აღმოფხვრა ამ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური